სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/58

ქ. თბილისი 5 მარტი 2019

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 2628 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების “მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 მარტის №01-05-02/6 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2017 წლის 10 ნოემბრის № 2628 დადგენილების შემდგომი ქმედითობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულების გაზაზე ჩამოყალიბდეს პირველადი ჯგუფები (ორი-სამი წევრის შემადგენლობით), რომლებიც შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში მომხდარი მოვლენებისა და ფაქტების კლასიფიცირებას და დაფიქსირებას (როგორც აუდიო - ვიდეო მასალის) უზრუნველყოფს მისი შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით, ისტორიიდან-რეალობაში.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გიორგი სალუქვაძე